

სკოპინგის დასკვნა N32

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ასფალტის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჯასთ ფროდაქშენი“ (ს/კ:405500015)

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნორიო;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 02.04.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „ვამილი-ლე კონსალტინგი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჯასთ ფროდაქშენმა“ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა, ასფალტის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ასფალტის საწარმოს მოწყობა დაგეგმილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნორიოში შპს „ჯეუ გრუპის“ საკუთრებაში არსებულ 5000 მ² და 4901 მ² ფართობის მქონე ორ სასოფლო-სამეურნეო (ამჟამად მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სტატუსის ცვლილება) (ს/კ: 81.09.33.445; 81.09.33.450) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომლებიც იჯარით სარგებლობაში აქვს შპს „ჯასთ ფროდაქშენს“. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 500 მეტრს, ზემო სამგორის სამელიორაციო არხი, საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 70 მეტრით.

სკოპინგის ანგარიშში განხილულია საწარმოს განთავსების ადგილის, ტექნოლოგიური პროცესისა და არაქმედების ალტერნატივები. წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოს განთავსების ტერიტორიის შერჩევა მოხდა მოსახლეობისგან დაშორების მანძილის, მისასვლელი გზებისა და საჭირო კომუნიკაციების არსებობის გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში მოეწყობა: ინერტული მასალების დასაწყობების ადგილები, მიმღები ბუნკერები (5 ერთეული - თითოეული 20 მ³ მოცულობით), ასფალტშემრევი დანადგარი (320 ტ/სთ წარმადობით), სილოსები (60 მ³ მოცულობით), საშრობი დოლი, აირების გამწმენდი სისტემა, ბიტუმის ცისტერნები (2 ერთეული - 50 ტ და 45 ტ ტევადობით), ბიტუმის მიწისქვეშა რეზერვუარი (160 ტ ტევადობით), მართვის კაბინა და ბიტუმის ემულსიის დანადგარი (15 ტ/სთ წარმადობის).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ასფალტშემრევი დანადგარის (BENNINGHOVEN, ECO-4000) მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 320 ტ/სთ-ს. საწარმო იმუშავებს 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, წელიწადში 264 დღე.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი შედგება საწარმოში ნედლეულის მიღებით, დასაწყობებით და ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებით. საწარმოში მოხდება შემდეგი სახის პროდუქციის წარმოება: მსხვილმარცვლოვანი (ფოროვანი), მსხვილმარცვლოვანი (მკვრივი), წვრილმარცვლოვანი ასფალტის ნარევი. წარმოების პროცესში ნედლეულად გამოყენებული იქნება: სხვადასხვა ფრაქციის ღორღი, კვიშა-ღორღის ნარევი, ბიტუმი, მინერალური ფხვნილი და ბუნებრივი აირი (ბიტუმის გაცხელებისთვის). წარმოების შედეგად მიღებული პროდუქცია, განთავსდება შესაბამის ბუნკერებში, საიდანაც პერიოდულად ჩაიტვირთება სატვირთო მანქანებში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმო ინერტული მასალებით მომარაგდება ლიცენზირებული კარიერიდან. ბიტუმის შემოტანა გათვალისწინებულია ბიტუმშიდი ავტომობილებით, ასევე საწარმოში დაგეგმილია ბიტუმის ემულსიის წარმოების ხაზის მოწყობა, რომლის შემადგენლობაში შედის: „emulFALT15“ ტიპის ბიტუმის ემულსიის დანადგარი (15 ტ/სთ წარმადობით), ბიტუმის ემულსიის წისქვილი (შემრევი), დოზირების სისტემა შესაბამისი ტუმბოებით, წყალ-მჟავა-ემულგატორისა და ბიტუმის მოდინების მზომები. ბიტუმის ემულსიის ხაზის მაქსიმალური წარმადობა იქნება 500 ტ/წ. ბიტუმის ემულსიის წარმოებისთვის ნედლეულად გამოყენებული იქნება: ბიტუმი, ემულგატორი, მარიმჟავა, კალციუმის ქლორიდი და წყალი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება მოხდება სასმელი და ტექნოლოგიური დანიშნულებით. ტექნოლოგიურ პროცესში წყალი გამოიყენება ბიტუმის ემულსიის წარმოებისთვის, რისთვისაც მოხდება ჭაბურღილის გაყვანა შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე. წლის განმავლობაში ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული იქნება 247 ტ წყალი. საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება მოხდება პერიოდულად წყლის ადგილზე მიტანით. წარმოების პროცესში საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია სასენიზაციო ორმოში.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

ასფალტის საწარმოს ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევასთან და ხმაურის გავრცელებასთან. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელებას ადგილი ექნება ასფალტის წარმოების პროცესში, ასევე ინერტული მასალების მიღებისა და დასაწყობების დროს. ატმოსფერულ ჰაერში მავნე

ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარულ წყაროებს წარმოადგენს ასფალტშემრევი, ლენტური კონვეიერი, მინერალური ფხვნილის სილოსი, ღუმელი, ბიტუმის გადატვირთვისას რეზერვუარები და ბიტუმის საცავები. ატმოსფერულ ჰაერში ძირითადად გამოიყოფა არაორგანული მტვერი. საწვავის წვის სხვადასხვა დანადგარებიდან გამოიყოფა საწვავის წვის პროდუქტები: აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი და ნახშირორჟანგი. ბიტუმსაცავიდან და ბიტუმის გადამამუშავებელი დანადგარებიდან ძირითადად გამოიყოფა ნახშირწყალბადები. საწარმო აღჭურვილი იქნება მტვერშემკრები სისტემით, რომელიც მოიცავს 200 ერთეულ ფილტრ-ტომარას. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებების გაფრქვევითა და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება დეტალურად იქნება შეფასებული გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს მსგავსი ტიპის საწარმოები. საწარმოდან დაახლოებით 700 მეტრის დაშორებით მდებარეობს ნარჩენების პოლიგონი, ხოლო 1,4 კმ-ში შპს „ჩირინას“ მეფრინველეობის ფერმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები. დეტალური ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობების, სახეობებისა და მათი მართვის შესახებ წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ანთროპოგენური გავლენის ზონაში, სადაც მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საწარმოს ტერიტორიაზე არსებობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომლის მოხსნა და შემდგომი მართვა მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების არსებობის ნიშნები არ ფიქსირდება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 22 აპრილს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ჯასთ ფროდაქშენის“, შპს „ვამილი-ლე კონსალტინგის“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე ყურადღება გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, რაზეც შესაბამისი

განმარტებები გააკეთეს შპს „ჯასთ ფროდაქშენის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;
5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის და Shp ფაილების მითითებით. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით (ალტერნატივების ერთმანეთთან შედარებით), მათ შორის არაქმედების (ნულოვანი)

ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ადგილმდებარეობის ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;

- დაზუსტებული მანძილი საწარმოდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილებისა და საქმიანობის პროფილის მითითებით) და რუკაზე ასახვით;
- საწარმოს საქმიანობის (მათ შორის ბიტუმის ემულსიის ხაზის) დეტალური, თანმიმდევრული აღწერა (ნედლეულის მიღებიდან, მის გადამუშავებამდე), ასევე საწარმოში მოსაწყობი ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ დეტალური ინფორმაცია (დანადგარების საპასპორტო მონაცემების მითითებით) გენ-გეგმაზე ასახვით (ასევე, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საწარმოო ხაზები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები, მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროები);
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოში წარმოებული პროდუქციის (ტიპისა და საათური, დღიური, წლიური რაოდენობების მითითებით) შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილებისა და პირობების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოში ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამომრათ მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით);
- ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ; ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში, ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- დეტალური ინფორმაცია ბიტუმსაცავების, ბიტუმის წარმოების ემულსიის ხაზისა და ბიტუმის სახარშის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოში გაცხელებული ბიტუმის დაღვრისა და პერიმეტრზე გავრცელების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიტუმსაცავების შემოზღვივის შესახებ (შესაბამისი დასაბუთებით);

- ინფორმაცია საწარმოს ელექტროენერჯით, ბუნებრივი აირითა და სხვა კომუნიკაციებით მომარაგების შესახებ;
- ვინაიდან წარმოების პროცესში ხდება ბუნებრივი აირის გამოყენება, წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოში გამოსაყენებელი ბუნებრივი აირის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია (წლიური და საათობრივი მაჩვენებლების მითითებით);
- ინფორმაცია მტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვის და გამართულად ექსპლუატაციის უზრუნველყოფის შესახებ (მათ შორის, ფილტრების დროული გამოცვლის შესახებ), ასევე დაზუსტებული ინფორმაცია ფილტრებში დალექილი მასალის ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენების შესახებ;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია (მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე), გამოსაყენებელი წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების მითითებით;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ჭაბურღილის სალიცენზიო პირობების შესახებ, მოსაპოვებელი წყლის რაოდენობისა და ჭაბურღილის პარამეტრების მითითებით;
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი წყლებისა (მათ შორის სანიაღვრე წყლების) და მათი მართვის შესახებ;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საწარმოში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი და მუშაობის ხანგრძლივობა. ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ ინფორმაცია;

4.1 ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- კვლევა საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების, განსაკუთრებით ცხოველთა სახეობების გამოსავლენად. კვლევის შედეგები, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, უნდა

აისახოს დოკუმენტაციაში. აღნიშნულის საფუძველზე უნდა მოხდეს საწარმოს განთავსების ალტერნატივების შეფასება;

- წარმოდგენილი უნდა იქნეს სრულფასოვანი ინფორმაცია ბიომრავალფეროვნებაზე კუმულაციური ზემოქმედების კუთხით, განსაკუთრებით ცხოველებთან მიმართებით, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპებისთვის;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა, ან ბიომონიტორინგის საკითხები აისახოს ერთიან მონიტორინგის გეგმაში;

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი, თვისობრივი მონაცემები და გაბნევის ანგარიში (გაბატონებული ქარების მიმართულებების გათვალისწინებით);
 - დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის აირმტვერდამჭერი სისტემის შესახებ (ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით) ეფექტურობის დასაბუთებით;
 - ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების დადგენის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიიდან 500 მეტრიანი რადიუსის მანძილზე არსებული ობიექტების მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები;
 - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების დეტალური შეფასების მიზნით დაზუსტებული და გათვალისწინებული უნდა იყოს ასფალტის წარმოების დანადგარებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა სახეობები;
 - გზმ-ის ანგარიშს უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
 - გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მონიტორინგის გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებათა ყოველკვარტალური თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების საკითხი და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან პერიოდული მონიტორინგის საკითხი (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, მეთოდის და სიხშირის მითითებით);

- ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული ან/და საპროექტო ობიექტების პროფილის, ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით), ასევე კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე (არსებობის შემთხვევაში);
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.
- ინფორმაცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და სოციალური პაკეტების შესახებ, ასევე ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ;

6. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს მიერ წლის განმავლობაში წარმოებული ასფალტის რაოდენობა, კერძოდ: დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოში გამოყენებული იქნება 320 ტ/სთ წარმადობის დანადგარი და საწარმო იმუშავებს წელიწადში 264 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. მითითებული მონაცემების დაანგარიშებით, წლის

განმავლობაში მიიღება 675 840 ტ, თუმცა დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საწარმოში მოხდება 200 000 ტ ასფალტის წარმოება;

- სკოპინგის ანგარიშში მითითებული არ არის სილოსების რაოდენობისა და ჯამური მოცულობის შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დასაზუსტებელია გვ. 36-ზე მითითებული ჩანაწერი “ამჟამად, საწარმოს ტერიტორიაზე დასაწყობებულია გარკვეული რაოდენობის ინერტული მასალა”;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს 3 ც ბიტუმსაცავი ვერტიკალური ავზისა (მათი საერთო ტევადობა შეადგენს 145ტ-ს) და 160 ტ ტევადობის ბიტუმის მიწისქვეშა რეზერვუარის მოწყობას, რაც წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის, 3.5. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (100 მ³ ან 100 მ³-ზე მეტი მოცულობის წიაღისეული საწვავის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია). აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშის საკანონმდებლო საფუძვლებში;
- სკოპინგის ანგარიშში გვ. 76-ზე იჯარის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი 1, რომელიც წარმოდგენილი არ არის და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს განთავსების მიწის ნაკვეთებზე მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სტატუსის ცვლილება არასასოფლო-სამეურნეოთი. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთების სტატუსების ცვლილების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ჯასთ ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელი ნორიოში ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოპოვებული, შესწავლილი ინფორმაციისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.